ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02.06.2011 №47

თბილისი

სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო
თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^7 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2011 წლის 3 ივნისიდან და დასრულდეს 2011 წლის 3 ივლისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში. (მის: აკურის ქ.№8 ტელ: 33 24 38), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი შედეგები გამოცხადდეს 2011 წლის 14 ივლისს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. *საკონკურსო ვაკანტური თანამდებობები*

- **გამოთვლითი მეთოდების განყოფილება**
  - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
  - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული;
  - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
  - მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;

- **ალბათურ-სტატისტიკური განყოფილება**
  - მეცნიერ-თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული;

- **მათემატიკური მოდელირების განყოფილება**
  - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
  - მეცნიერ-თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული;

2. *კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი*

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;
- შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც შეძლებს რეკომენდაცია გაუწიოს განმცხადებელს
- სამეცნიერო გრანტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

3. **კონკურსანტს მოეთხოვება**

- მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;